შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ

პეტრე ქავთარაძეს №14ა, XXII სართული, თბილისი 0186
ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

P. Kavtaradze Str. #14a, XXII Floor, Tbilisi 0186
I/C 404870724

26.01.2021 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილია **ქ. თბილისში, ნუმუბიძის ფერდობის II-III, IV მ/რ-ს მიმდებარედ (ნაკვეთი №60); ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, I შესახვევი №34-ს მიმდებარედ, (სკადასტრო კოდი: 01.14.16.015.440)** მრავალსართულიანი, მრავალფუნქციური კორპუსის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი და გაანგარიშებათა შედეგები (2021 წლის მდგომარეობით).

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი წარმოადგენს უკვე შესწავლილი პროექტის კორექტირებულ ვარიანტს, რომელიც პირველადი პროექტისგან განსხვავდება შემდეგი პარამეტრებით:

1. **გაზრდილია ლიფტის შახტის გაბარიტები, რის გამოც ზომაში გადიდებულია (10 სმ-ით) ლიფტის შახტის მონოლითური რკინა-ბეტონის კედლები.**
2. **შემცირებულია შენობის გარე პერიმეტრზე ბლოკის შევსების სისქე, რაც იწვევს შესაბამისი დატვირთვების შემცირებას.**
3. **-14,40 ნიშნულზე სარდაფის რკინა-ბეტონის კედელში „ა“ ღერძზე „3“-„4“ ღერძებს შორის ამოღებულია ღიობი ფანჯრისთვის.**

შესწავლილ იქნა შენობის კორექტირებული საანგარიშო სქემა და წარმოდგენილი მუშა ნახაზები.

შენობა 13 სართულიანია 1 მიწისქვეშა და 12 მიწისზედა სართულით. მიწისზედა სართულებიდან პირველი ოთხი სართული სამშენებლო მოედნის რელიეფური პირობებიდან გამომდინარე სამი მხრიდან ნაწილობრივ მოქცეულია გრუნტში.

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, ზომებით ღერძებში 20.20×21.70 მ. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, H=6.60 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=8.0 მ. ±0,00 და +3,00 ნიშნულის სართულები დათმობილი აქვს ავტოსადგომებს, დანარჩენი სართულები კი საოფისე, კომერციულ და საცხოვრებელ ფართებს. არქიტექტურულ **±0,00** ნიშნულს შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული **+591,11**.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ^2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ^2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება მუდმივ, დროებით ხანგრძლივ, დროებით ხანმოკლე,

თოვლის დატვირთვებზე და ჰორიზონტალური 0,17g (1.67 მ/წმ²) აჩქარების შესაბამის სეისმურ ზემოქმედებაზე შესრულებულია შპს „პროგრესი“-ს მიერ. საპროექტო დოკუმენტაციაში მიღებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების პარამეტრები განსაზრვრულია კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის LIRA-SAPR-R3-ის გამოყენებით.

შენობის ფუძე-გრუნტად მიღებულია სგე-2 - არგილითების და ქვიშაქვების დასტების მორიგეობა (ნაკლებად გამოფიტული), რომლის სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=41 კგძ/სმ². შენობის დაფუძნება ძირითად ქანზე გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით სისქით 800მმ.

საინჟინრო გეოლოგიური შესრულებულია შპს “ახალი საქალაქმშენპროექტი”-ს მიერ 2019 წელს. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გრუნტის გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია უნდა გაეცნოს გეოლოგიურ დასკვნას.

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები:

საძირკვლის ფილა: H=800მმ;
სვეტები: 1000X500მმ; 800X500მმ; 700X500მმ; 600X500მმ; 500X500მმ;
მონოლითური კედლები და დიაფრაგმები: 200მმ; 250მმ; 300მმ;
გადახურვის ფილები: 180მმ; 200მმ;
რიგელები: 400X500მმ;
კიბის პანდუსები: 180მმ;

პროექტი შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) ᲡᲜ 01.05-08 ,,სამშენებლო კლიმატოლოგია’’
2) ᲡᲜ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა’’
3) ᲡᲜ 03.01-09 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები’’
4) ᲡᲜ 02.01-08 ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები’’
5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

დასკვნა:

საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანაგრიშო მოდელი და მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში (სასრულ ელემენტთა მოდელში) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები მათი შეხამებები და შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი (ისევე როგორც პირველადი კონსტრუქციული პროექტი) აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და სრულიად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისთვის.

შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
დირექტორი/ მთ.კონსტრუქტორი:

გიორგი ჩიკვაიძე
ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში
ევროკოდის ექსპერტი

შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
კონსტრუქტორი:

გიორგი ჯავახიშვილი
ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში